საქართველო

27135-01-2-201907091032

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/27135
09/07/2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ **თამილა ბარკალაიას**

ქალბატონო თამილა,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საგარეო საქმეთა სამინისტრო ყოველწლიურად ახორციელებს „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის **ასოცირების შესახებ შეთანხმებისა**“ და საქართველოსა და ევროკავშირს შორის **ასოცირების დღის წესრიგის** განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებას და მათი შესრულების პერიოდული ანგარიშების მომზადებას.

გაცნობებთ, რომ ასოცირების შეთანხმების ელექტრონული მონიტორინგის სისტემაში (https://aa-monitoring.ge) გაიგზავნა მოთხოვნა 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის ექვსი თვის ანგარიშის წარდგენასთან დაკავშირებით.

გთხოვთ, დაავალოთ თქვენს დაქვემდებარებაში არსებულ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, 2019 წლის 24 ივლისამდე, ელექტრონულ მონიტორინგის სისტემაში, თქვენი უწყების კომპეტენციის ფარგლებში არსებული აქტივობების 6 თვის შესრულების მდგომარეობის ასახვა.

პატივისცემით,
ვახტანგ მახარობლიშვილი

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge